

შპს M.I.Technics

ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრით

დასრულებული წლისათვის

თბილისი 2025 წ.

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	1
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების	
ანგარიშგება.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	4

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „M.I.Technics“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისათვის, საქმიანობის შედეგებს და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით გონივრულ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო არ აპირებს და ასევე პროგნოზირებად მომავალში საქმიანობის შეჩერებას და ორიენტირებულია მოგების გაზრდაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;

სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებებს.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის თარიღისათვის, ხელმძღვანელობის მიერ.

დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 23 სექტემბერს

ხელმოწერი პირი

დირექტორი

შპს M.I.Technics



ვ.მკრტიჩიანი

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2023-2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ერთეული ლარი)

საქმიანობის შედეგები		
	31/12/2024	31/12/2023
საქმიანობის შედეგები		
ნეტო ამონაგები	1300258	1360032
მომსახურების გაწევიდან	1300258	1330293
სხვა	0	29739
საერთო მოგება	1300258	1360032
დასაქმებულთა ანაზღაურება	-257009	-227263
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-234506	-293179
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-261262	-188555
სულ საოპერაციო ხარჯები	-752777	-708997
საოპერაციო მოგება	547481	651035
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	547481	651035
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	547481	651035
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	547481	651035
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3570322	2919287
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-63158	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	10678	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4065323	3570322

ხელმომწერი პირი

დირექტორი:

შპს M.I.Technics



ვ.მკრტიჩიანი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა		
	31/12/2024	31/12/2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1575263	1156243
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	406689	454834
მარაგები	0	3622
მზა პროდუქცია	0	0
სხვა	0	3622
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	2097113	2101317
სულ აქტივები	4079065	3716016
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	726	3224
საგადასახადო ვალდებულებები	7137	9625
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	2979	130045
სხვა ვალდებულებები	2900	2800
სულ ვალდებულებები	13742	145694
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	4065323	3570322
სულ საკუთარი კაპიტალი	4065323	3570322
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4079065	3716016

ხელმოწერი პირი

დირექტორი:

შპს M.I.Technics



ვ.მკრტიჩიანი

ზოგადი ინფორმაცია

შპს „M.I.Technics“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და აარასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 05.04.2011წ. ს.ნ 406046283

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

ვაჩაგან მკრტიჩიანი პ/ნ 01027021409 - 50% წილის მმართველი,

იური მკრტიჩიანი პ/ნ 01027023946 – 25% წილის მმართველი და

ალექსანდრე მკრტიჩიანი პ/ნ 01027026213 - 25% წილის მმართველი.

კომპანიის დირექტორია:

ვაჩაგან მკრტიჩიანი პ/ნ 01027021409.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, სამგორის რაიონი, გრიგოლ ლორთქიფანიძის 134.

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, სამგორის რაიონი, გრიგოლ ლორთქიფანიძის 134.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 0 ლარს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სამშენებლო მანქანების და მოწყობილობების იჯარა ოპერატორთან ერთად და ტექნიკით მომსახურეობა, მოსამზადებელი სამუშაოები სამშენებლო მოედანზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ. 2023 წელს კომპანია ანგარიშგებას ამზადებს ამ სტანდარტის მიხედვით. ახალ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი, რაც განხორციელდა მსს ფასს სტანდარტის სათანადო მოთხოვნების მიხედვით. ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, მომგებიანობა, ფულადი ნაკადები, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების სააღრიცხვო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებსა და ხარჯებზე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან, შეფასებების გადახედვა მოხდება ყოველწლიურად და კორექტირებები აისახება იმ წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც შესაბამისი ცვლილება მოხდა.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაცია

• აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა. • მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.

• აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არარისშეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში (რომელიც უფრო გრძელია).
 - ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.
- ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან შიდა და გარე ფაქტორები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლებელია ვერ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა არასაოპერაციო ხარჯების ნაწილში. შეკეთება-განახლების ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან როდესაც ის მზად არის ექსპლუატაციისათვის. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით: ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს. ჩამოწერა ხდება მაშინ როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდისათვის როდესაც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებები 2024 -2023წ

(ერთეული ლარი)

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2024 წლის ბოლოსთვის შეადგენს 2097113 ლარს. მათ შორის :

- მიწის ნაკვეთები 976474
- მანქანა-დანადგარები 3096
- ოფისის აღჭურვილობა 7663
- სატრანსპორტო საშუალებები 1086899
- სხვა დამხმარე საშუალებები 22981

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2023 წლის ბოლოსთვის შეადგენს 2101317 ლარს. მათ შორის :

- მიწის ნაკვეთები 976474
- მანქანა-დანადგარები 3870
- ოფისის აღჭურვილობა 9579
- სატრანსპორტო საშუალებები 1082590
- სხვა დამხმარე საშუალებები 28804

	მიწა	მანქანა დანადგ	ავტო და ინვ	სხვა	ავტოტრანსპ.	სულ
ძირ საშუალებები 31.01.2023	976474	8169	15761	56230	2413446	3470080
შემოსვლა	0	0	0	0	0	0
გასვლა	0	0	0	0	179786	179786
ძირ საშუალებები 31.12.2023	976474	8169	15761	56230	2233660	3290294
შემოსვლა	0	0		0	258577	258577
გასვლა	0	0	0	0	62407	62407
ძირ საშუალებები 31.12.2024	976474	8169	15761	56230	2429830	3486464
დაგრ ცვეთა 31.01.2023		3330	3787	22344	980032	1009493
გასვლა		0			113695	113695
დარიცხ ცვეთა 2023		968	2394	5083	284734	293179
დაგრ ცვეთა 31.12.2023	0	4298	6181	27427	1151071	1188977
გასვლა					34132	34132
დარიცხ ცვეთა 2024		774	1916	5823	225993	234506
დაგრ ცვეთა 31.12.2024	0	5072	8097	33250	1342932	1389351
მ/საშ ნარჩ ღ-ბა 2023	976474	3871	9580	28803	1082589	2101317
მ/საშ ნარჩ ღ-ბა 2024	976474	3097	7664	22980	1086898	2097113

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის საქმიანობის სფერო არის მომსახურება მძიმე ტექნიკით, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები არ არის მარაგში, გარდა საწვავისა. საწვავის შეძენა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ტალონური სისტემით, ტალონების განაწილება ხდება შესრულებული სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, რაზედაც დგება საწვავის ხარჯის დამადასტურებელი შესაბამისი უწყისი ტექნიკის ოპერატორების ხელმოწერით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

(ერთეული ლარი)

	31.12.2024	31.12.2023
საწვავის მარაგი	0	3622

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ერთეული ლარი)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	406689	454834

ამონაგების აღიარება

მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები ხორციელდება ძირითადად ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება, შემოსული თანხები აღიარდება ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტის საშუალებით ან საბანკო გადმორიცხვებით.

ფული და ფულის ექვივალენტები

(ერთეული ლარი)

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება სალაროში არსებული ფულისაგან და ბანკის ანგარიშებისაგან.

ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2024 წ	31.12.2023 წ
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0	0
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	0	0
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	1545273	1136372
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	29990	19871
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1575263	1156243

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება.

2023 და 2024 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8068	2,9306

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ერთეული ლარი)

	31.12.2024 წ	31.12.2023 წ
სავაჭრო მოკლევადიანი ვალდებულებები	726	3224
სასესხო მოკლევადიანი ვალდებულებები	2979	130045
სხვა ვალდებულებები	2900	2800
საგადასახადო ვალდებულება	7137	9625
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13742	145694

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და

პროცენტი არ ერიცხება. სასესხო ვალდებულებები წარმოადგენს დამფუძნებლისგან შემოტანილ უპროცენტო ვალდებულებას. საგადასახადო ვალდებულება წარმოადგენს თვის ბოლოს დარიცხულ გადასახადებს.

საწესდებო კაპიტალი

საწარმოს საწესდებო კაპიტალი ნოლის ტოლია.

კომპანიის შემთხვევაში საწესდებო კაპიტალის ცვლილება არ მომხდარა.

2024 წელს კომპანიაში გაიკა დივიდენდი 63158 ლარის ოდენობით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

(ერთ ლარი)

N	დასახელება	ფინანსური ბრუნვა
1	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	62782
2	კომუნალური ხარჯი	5553
3	საწვავის ხარჯი	130587
4	დაზღვევა	330
5	ქველმოქმედება	50
6	ბანკისმომსახურება და ჯარიმები	1713
7	საპენსიო გადასახადი	9748
8	საიჯარო ხარჯი	660
9	მივლინების ხარჯი	1380
10	ქონების გადასახადი	20044
11	სხვადასხვა მომსახურება	22513
12	ძირითადი საშუალების რეალიზაც. ხარჯი	5902
	სულ	261262

ხელმოწერილი პირი
დირექტორი :

შპს M.I.Technics



ვ.მკრტიჩიანი